საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

გაცნობებთ, რომ „თერჯოლის მუნიციპალიტეტში შპს „ექსიმგრუპი“-ს ფეროშენადნობების წარმოების ქარხნის (სილიკომანგანუმის საწარმოს) მოწყობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 22 იანვრის N2-60 ბრძანების საფუძველზე ახორციელებს ფეროშენადნობის ქარხნის მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტს.

საწარმოს მოწყობის სამუშაოების დაწყების შემდეგ, მიღებული იქნა გადაწყვეტილება საბაზისო პროექტში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რომლის მიხედვით იგეგმება საწარმოს წარმადობის გაზრდა 1.644 ტ/სთ-დან 4.8 ტ/სთ-მდე. რისთვისაც გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული 9 მგვტ სიმძლავრის ელექტრორკალური ღუმელის გარდა, დამატებით მოეწყობა 18 მგვტ სიმძლავრის ელექტრორკალური ღუმელი. საპროექტო ცვლილებების მიხედვით, საწარმოში მიმდინარე პროცესების ტექნოლოგიური ციკლის და სამუშაო რეჟიმის ცვლილება დაგეგმილი არ არის.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-5 მუხლის, მე-12 პუნქტის შესაბამისად, შპს „ექსიმგრუპი“-ს დაგეგმილი საქმიანობა ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას.

წარმოგიდგენთ სკრინინგის ანგარიშს და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

წერილს თან ერთვის:

- თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფ. კვახჭირში არსებული შპს ,,ექსიმგრუპ“ - ის ფეროშენადნობების წარმოების ქარხნის ექსპლოატაციის პირობების ცვლილების პროექტის სკრინინგის ანგარიში - 1 ეგზემპლიარი ნაბეჭდი ვერსია;
- სკრინინგის ანგარიშის ელექტრონული ვერსია და საქმიანობის განხორციელების ადგილის გეოგრაფიული კოორდინატები CD დისკზე.

პატივისცემით,

გ. კლიმიაშვილი

შპს „ექსიმგრუპი“-ს დირექტორი

შპს ექსიმგრუპ
405239674
Eximgroup LLC

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
№ 449
14.01.22
2/2/CD
+ 02 +